ლენინური, კომუნისტური შაბათობა

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 კვირა 18 აპრილი № 90 (16520) ფასი 2 კაპ. 1976

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აამაღლეთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდისათვის!

უფრო მაღლა ასწიეთ 1976 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

„პრავდის“ ფურცლებზე

ულიანი, როგორც ერთი, — შაბათობაზე! ამ ხაერთო ანშლაგით გაზეთმა კომუნისტურ შაბათობაზე გამოხმაურელად მოუწოდა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს. აქვე დაბეჭდილია რეპორტაჟი შაბათობის მთავარი შტაბიდან — „დიადი თაოსნობის მემკვიდრეობათა“.

გუშინ ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების მილიონობით მშრომელი თავის ხაშუშო ადგილზე დადგა. მათ გულის ძახილით თავიანთ დასვენების დღეს უანგაროდ და დამკვრელურად იშრომეს სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისი ბედნიერებისა და აყვავებისათვის.

ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავისადმი მიძღვნილმა სრულიად საკავშირო კომუნისტურმა შაბათობამ ჩაიარა ხკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაწეული საყოველთაო სახალხო ბრძოლის ვითარებაში. შაბათობის მონაწილეთა დამკვრელური უსახყიდლო შრომა თვალსაჩინო წვლილს შეიტანს მუშებისა და კოლმეურნეების, ინტელიგენციის, სამეთა კავშირის ხალხთა მთელი ძმური ოჯახის საერთო საქმეში.

„მეათე ხუთწლედის პირველი „ციტელი შაბათობა“ — ნათქვამია მეთაურ წერილში („დიდება დამკვრელურ შრომას!“). — კიდევ ერთხელ მკაფიოდ მოწმობს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის შრომითი და საზოგადოებრივ - პოლიტიკური აქტივობის იმ უდიდეს აღმავლობას, რომელიც ხკკპ XXV ყრილობას გამოაყენა. პარტია, რომელიც ხალხის ძალებს წარმართავს ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული სოციალურ - ეკონომიური პროგრამის შესასრულებლად, ყოველი ღონისძიებით ავითარებს ხალხის მასების ამ აქტივობას, ცოცხალ შემოქმედებასა და ინიციატივას“.

სათაურით — „რუსეთის ფართო ეროვნულ ნაციონალ“ — გამოქვეყნებულია რუსეთის ფედერაციის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებები 1976 წლისათვის.

შიდა გვერდებზე დაბეჭდილია ა. სახნინის — „მატარებლები მომავლისკენ მიდიან“ (წინამიავლია სასიკეთო საქმეები); ი. არკინის — „ახალგაზლიდე — ნიშნავს სწავლო�დე“ (ხახლარო განათლების მეთოდისტის შენიშვნები); ვ. ივანოვის — „საქმეები და ადამიანები“ (ტელეეკრანთან). გაზეთი აქვე აქვეყნებს რასულ ბამზათობის ახალ ლექსებს — „მოგზაური პერის სიმაგო“.

ამერიკის შეერთებული შტატების ხამხედრო ბიუჯეტის ხუთწლიანი გეგმა 636 მილიარდ დოლარს შეადგენს... ცნობილი კარიკატურისტები აუპარინიკოვები ამ ცნობის ხაფუძველზე პენტაგონის მამხილებელ კარიკატურას — „მათი „ხუთწლედი“ ხთავაზობენ მკითხველს.

სსრ კავშირის რევოლუციის ხახელმწიფო მუზეუმში ოქტომბერ ფლოტა-ძე ლენინის ფოტოგრაფიის დედანი. ხურათი გადაღებულია 1895 წლის ბოლოს პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ წევრების დაპატიმრების შემდეგ. ამის გამო გაზეთი ბეჭდავს ვ. ბოლანინოვის წერილს „თენდებოდა“... (სურათი, რომელიც 80 წლის შემდეგ ეთავენ).

მეექვსე გვერდზეა ერთი ეტაპი ცნობა, რომ ერევნის № 8 ბუატვრულ-ტექნიკური ხასწავლებელი ამზადებს გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებს — იუველირებს, გრავიორებს, ხისა და ძვლის მოლელებს, მეთუნეებს, მემეედურეებს. ამ ხასწავლებელში სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის საშუალო სკოლების 400 კურსდამთავრებული სწავლობს.

ПРАВДА

ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲩᲐᲘ

მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკების რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა მიმართვა საქართველოს ყველა მეჩაიისა და ჩაის მრეწველობის მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! საქართველოს მშრომელებზე, ისევე როგორც ყველა ხაბჭოთა ადამიანზე, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმა და შინაარსიანმა მოხსენებამ და პარტიის ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. მოხსენებასა და პარტიის გადაწყვეტილებებში წამოყენებული დებულებანი და ამოცანები მძლავრი იმპულსი გახდა ახალი სახელოვანი წარმატებებისათვის.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მეათე ხუთწლედი უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში დაიწყეს. ისინი კიდევ უფრო აღაფრთოვანა იმან, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ხაკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად ხაკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით ხაკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის, 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და შეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის.

ამ დიდ შრომითს გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩაის პლანტაციებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკებმა. მათ შორაპნ ხახელმწიფოს მიჰყიდეს 334 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, სულ კი მეცხრე ხუთწლედში — 1.478 ათასი ტონა. ასეთი უხვი მოსავალი არ ახსოვს ჩვენი მეჩაიეობის ისტორიას. განსაკუთრებით გამოირჩინეს თავი აფხაზეთისა და აჭარის, ბახარაძის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და სხვა რაიონების მეჩაიეებმა. მიღწეულ გამარჯვებაში დიდი შრომითი წვლილი შეიტანეს გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკებმა. მათ უზრუნველყვეს ნედლეულის მთელი რაოდენობის გადამუშავება და ხახელმწიფოს მისცეს 84 ათასი ტონა მზა პროდუქცია გეგმით გათვალისწინებული 77.500 ტონის ნაცვლად. სულ ხუთწლედში წარმოებულია 367 ათასი ტონა პროდუქცია.

სოფლის მშრომელებს კარგად ესმით, რომ მეათე ხუთწლედის პირველი წლის მოსავლისათვის ბრძოლის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჩაატარებენ საგაზაფხულო სამუშაოებს ნინდრეებში, პლანტაციებში, ბაღებსა და ბოსტნებში. რესპუბლიკის ეკონომიკისათვის, ხახალხო მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეჩაიეთა, ჩაის ფაბრიკების მუშაკთა მრავალათასიანი არმიის შრომის ხაბოლოო შედეგებს.

ჩვენ გადავწყვიტეთ მეათე ხუთწლედის პირველი წელი აღვნიშნოთ უხვი მოსავლით, წარმოების ეფექტიანობით ნედლეულისა და პროდუქციის მაღალი ხარისხით.

ჩვენს მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა წარმოების ყველა უბანზე, კოლმეურნეობებში, ხაბჭოთა მეურნეობებში, ჩაის ფაბრიკებში ვიშრომოთ ბეჭითად, შემოქმედებითად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ თვითეული მეჩაიის, ჩაის მრეწველობის მუშაკის, სპეციალისტის, ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ამაღლებას საერთო საქმისათვის.

ამოცანა ის არის, რომ გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ წარმოების გამოუყენებელი რეზერვები, რომლებიც ყველგან გვაქვს. ხომ გვყავს ბევრი ისეთი მეჩაიე, რგოლი და ბრიგადაც კი, რომლებმაც ბევრი უნდა იშრომონ, რათა მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. უფრო მეტიც, რესპუბლიკაში არის ისეთი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სადაც ჩაის ფოთლის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა რაიონის ხაშუალო მაჩვენებელზე, ბევრად უფრო დაბალია. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ მეჩაიეობაში ყველა რეზერვი არ არის ჩაყენებული მოსავლის სამსახურში.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კომპლექსურ მექანიზაციას, მელიორაციასა და ქიმიზაციას. ჩვენს განკარგულებაშია ჩაის ხაკრეფი მანქანები „ხაქართველო“ და „ჩა-900“, დიდძალი ჩაის ხელით ხაკრეფი ამარაღები. მაგრამ მათ ხაკმაოდ ეფექტანად ვერ ვიყენებთ. ბევრ მეურნეობაში მანქანა ცდება, ნაადრევად გამოდის მწყობრიდან.

შეუწყნარებელია აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ არარაციონალურად ვიყენებთ ხარწყავ წყალს, მინერალურ სასუქებს, ვარღვევთ პლანტაციებში მათი შეტანის ვადებს. დოზებსა და წესებს.

ზოგიერთ მეურნეობაში გადამწყვეტ ღონისძიებებს არ ახორციელებენ ხიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. წლითიწლობით არ სრულდება ახალი პლანტაციების გაშენების გეგმები, ნელი ტემპით ინერგება წარმოებაში მეცნიერული რეკომენდაციები და მოწინავე გამოცდილება.

მეათე ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია. ამიტომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას უნდა დავუჭვეშდებაროთ მთელი ჩვენი მეცადინეობა. თვითეული მეჩაიის, ჩაის მრეწველობის თვითეული მუშაკის მეცადინეობა.

როცა ამის შესახებ ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ გასული წელი, როცა ხერიოზული ნაკლოვანებანი გვქონდა ჩაის ფოთლის კრეფაში, დამზადებასა და გადამუშავებაში. ხაქმე ის არის, რომ ყველა მეურნეობაში არ იყო დაწესებული მკაცრი კონტროლი, ირღვეოდა ჩაის ფოთლის კრეფის წესები და ვადები, მორალური და მატერიალური სტიმულირების პრინციპები. ეს და სხვა ნეგატიური მოვლენები სიძნელეებს ქმნიდნენ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების შესრულებაში.

სეზონური ხარვეზები იყო ჩაის მრეწველობის ხაწარმოთა ხაქმიანობაშიც. ზოგან არ აღმოჩნდა ხაკმარისი ხიმძლავრეები ნედლეულის შეუფერხებელი მიღებისა და გადამუშავებისათვის. დაბალია გადამმუშავებელი მრეწველობის ტექნიკური აღჭურვილობის დონე.

ჩვენ მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა მეჩაიეს და ჩაის მრეწველობის მუშაკს, სპეციალისტს, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს ჩაებან ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ლაშქრობაში. ამ ლაშქრობის დევიზად გადაიქციონ — ხარისხი და კიდევ ერთხელ ხარისხი!

ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის არ უნდა დაეშვათ ხამუშაო დროის დაკარგვა. მოვსპოთ მოცდენები და არარიტმულობა მუშაობაში, განვამტკიცოთ შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, უფრო ყაირათიანად და რაციონალურად გამოვიყენოთ მატერიალური და ფინანსური რესურსები. ხამეცნიერო, ხაპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა შემოქმედებითი ურთიერთობის განმტკიცების საფუძველზე უნდა უზრუნველყონ ახალი მანქანებისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების ფართო დანერგვა.

მიმდინარე წლის ჩაის უხვი მოსავლისა და მისი სრულფასოვანი გადამუშავების ბედი ახლა წყდება. აი რატომ არის, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა დროულად დავამთავროთ ჩაის პლანტაციებისა და ფაბრიკების მოვზადება ხეზონისათვის. თვითეულ დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ქვეყანაში, ისევე როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. თვითეული მეჩაიისა და ჩაის მრეწველობის მუშაკის ვალია აქტიურად ჩაებას შეჯიბრებაში, მიბაძოს მოწინავეებს. პარტიულმა, ხაბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების უფრო მეტი ქმედითობა, მასობრიობა და ხაჯარობა.

აი უკვე რამდენიმე წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან მეჩაიეები და მევენახეები. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ამ ორი ძირითადი დარგის მუშაკთა შრომითმა შეტოქეობამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. დარწმუნებული ვართ, რომ ახალ ხუთწლედში მეჩაიეთა და მევენახეთა სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო გაფართოვდება, რადგან ბრძოლა მაღალხარისხოვანი ჩაისა და ყურძნის უხვი მოსავლისათვის სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხია.

ამხანაგებო! ჩვენი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი ძალიან ძნელი. მაგრამ სავსებით რეალურია. მათი წარმატებით შესრულება დამოკიდებულია თვითეული ჩვენგანის შრომაზე, ენთუზიაზმზე, უნარსა და დისციპლინაზე.

ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ 1976 წელს მოვკრიფოთ 335 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ვაწარმოოთ 84 ათასი ტონა მზა პროდუქცია. ასეთია ჩვენი სოციალისტური ვალდებულება.

ეჭვი არ არის, რომ სახელოვანი მეჩაიეები და ჩაის მრეწველობის მუშაკები დიდსულად შეასრულებენ საამოცანოსათვის. კომუნისტური პარტიისათვის მიცემულ სიტყვას.

მიმართვა მიღებულია საქართველოს მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე.

საქართველოს მწერალთა VIII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

22 აპრილს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში გაიხსნება

საქართველოს მწერალთა VIII ყრილობა

დელეგატების რეგისტრაცია იწყრმოებს **20-21 აპრილს** მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13), დილის 11 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ხოლო **22 აპრილს** — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში დილის 9 საათიდან.

შრომის დიდი ზეიმი

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ — ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ

გუშინ კომუნისტურ შაბათობაზე, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავს, ერთსულოვნად გამოვიდნენ საქართველოს მშრომელები. საამქროებში, ლაბორატორიებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე პატრიოტული, შემოქმედებითი შრომა იყო გაჩაღებული, რის შედეგადაც ასეულ ათასობით მანეთი გადაირიცხა მეათე ხუთწლედის ფონდში.

ამ დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შრომის ეფექტიანობასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დაზუსტებული შაბათობის სრული შედეგები, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ იგი მაღალნაყოფიერი იქნება. სწორედ ამაზე მოუთხრობენ ცნობები ადგილებიდან, რომელსაც დღეს ჩვენი გაზეთი აქვეყნებს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲒᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ, დამკვრელური დღე იყო დედაქალაქის მშრომელთა შაბათობა. თვითეულმა კოლექტივმა თავისი ადგილებრივი შეასრულა — ეს ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი დღე იყო მათს მუშაობაში.

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაწეული შეჯიბრების ამ ერთ დღეს დედაქალაქის მშრომელებმა მუშებმა, მშენებლებმა, ტრანსპორტელებმა, ინტელიგენციამ, თბილისს მოსახლეობამ თავისი ღირსეული წვლილი შეტანეს ხუთწლედის ფონდში.

დამკვრელურად იშრომეს გუშინ დედაქალაქის ლენინის, 26 კომისრის, კიროვის, პირველი მაისის, ორჯონიკიძის, ოქტომბრის, კალინინის სახელობის და საქარხნო რაიონების მშრომელებმა.

ქალაქის 350 ათასი მშრომელი იღგა შაბათობის ვახტზე. გამომშვებულია 7 მილიონ 200 ათასი მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა 450 ათასი მანეთი.

დამკვრელური შრომის ზეიმი დღესაც გაგრძელდება.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ მეორე, ინდუსტრიული ცენტრის მშრომელები ერთსულოვნად გამოვიდნენ კომუნისტურ შაბათობაზე. სულ შაბათობაში 50 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. აქედან 24 ათასი კაცი უმეტესად პროდუქციას ამზადებდა.

შაბათობის წინასწარ შედგენილი გეგმის ერთ-ერთი პუნქტი ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოების მაღალ დონეზე ჩატარებას თვალისწინებდა. ასეც მოხდა. თუმცა წვიმიანი ამინდი იდგა, დაირგო ათასობით ხე და ბუჩქი, წესრიგში მოიყვანეს ქუჩები, საცხოვრებელი უბანები და ეზოები, საწარმოთა ტერიტორიები.

ენერგიულმა და შემოქმედებითმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო, გამოშვებულია 14 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია.

ხუთწლედის ფონდში ქუთაისელმა მშრომელებმა 71 ათასი მანეთი გადარიცხეს.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ დღესასწაულს ენთუზიაზმით შეხვდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები. თუმცა ამინდი ხელსაყრელი არ იყო, ქალაქებსა და სოფლებში მშრომელები დილადრიან დადგნენ შრომის ვახტზე.

შაბათობაში სულ 200 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. აქედან ნახევარზე მეტი თავიანთ სამუშაო ადგილებზე შრომობდა, დანარჩენი კეთილმოწყობის სამუშაოს ადგილებზე. მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად გამოშვებულია 800 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია. მეათე ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა 230 ათას მანეთზე მეტი.

შაბათობის დღეს თავი ისახელეს სოხუმის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, მოსახლეობამ. კეთილმოეწყო ქუჩები, გაილამზდა ბაღები, დაირგო ათასობით ძირი ხე და ბუჩქი. დიდი ენთუზიაზმი იგრძნობოდა ახალ მშენებარე სტადიონზე, რომელიც დამკვრელურ ობიექტად არის გამოცხადებული.

ლიდაქალი პროდუქცია გამოუშვეს ფეხსაცმლის ფაბრიკის, გაზის აპარატურის ქარხნის, საქსოვი და სამკერვალო ფაბრიკების, თევზკომბინატის და სხვათა კოლექტივებმა.

შაბათობის დღეს 2.500 ტონაზე მეტი ქვანახშირი მისცეს სამშობლოს ტყვარჩელელმა მეშახტეებმა.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲐᲠᲗᲙᲐᲠᲘ, წყალქვეშაფრთიანი კატარღები, ტრანსფორმატორები, ფეხსაცმელი, ნავთობპროდუქტები და სხვა მრავალი ზეგეგმითი პროდუქცია მიიღო გუშინ სამშობლომ. შრომითს ვახტზე 50 ათასამდე ბათუმელი მეშა-მოსამსახურე დადგა. მათ 400 ათასი მანეთის პროდუქცია აწარმოეს და 50 ათასი მანეთი გადარიცხეს ხუთწლედის ფონდში.

ვახტიდან თავისუფალმა ასობით ბათუმელმა ქალაქის გამწვანება კეთილმოწყობაზე იმუშავა.

ისევეე შრომითი ენთუზიაზმი სუფევდა რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში, საკოლმეურნეო ბაღებსა და პლანტაციებში. დაირგო ციტრუსები და სხვა მარადმწვანე მცენარეები. მთის სოფლებში კომკავშრომლებმა სიტყვა შეასრულეს. გზის ნაპირებზე და თავისუფალ ადგილებში დარგეს ათასობით კაკლის ხე, რითაც უფრო მიმზიდველი გახადეს აჭარის ისედაც თვალწარმტაცი ბუნება.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ

ᲗᲝᲠᲛᲔᲑᲘ ათასი ცხინვალელი მშრომელი გამოვიდა შაბათობაზე, საწარმოებში, მშენებლობებზე დამკვრელური შრომა გაჩაღდა. გამოშვებულია 200 ათასი მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა 25 ათასი მანეთი. კარგად იშრომეს აგრეთვე ცხინვალის რაიონის სოფლების მშრომელებმა, რომლებმაც ხუთწლედის ფონდს 3.320 მანეთი შემატეს.

შაბათობამ ორგანიზებულად ჩაიარა ზნაურის, ჯავის, ლენინგორის რაიონებში.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲐᲓ, წინასწარ შედგენილი გეგმების მიხედვით გამოვიდნენ გუშინ კომუნისტურ შაბათობაზე რუსთავის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. ამ საყოველთაო სახალხო საქმეში 30 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. გამოშვებულია 1.200 000 მანეთის პროდუქცია, ანუ 150 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე დღეღამური გეგმა ითვალისწინებდა.

განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მეტალურგებმა, რომლებმაც გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 100 ტონა კოქსი, 150 ტონა აგლომერატი, 100 ტონა თუჯი, 250 ტონა ფოლადი, 350 ტონა ნაგლინი, 120 ტონა ფოლადის მილები და სხვა.

ᲤᲝᲗᲘ

ᲓᲐᲜᲝᲖᲘᲚᲘ მასალების ხარჯზე ქალაქ ფოთის მრეწველობამ 15 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადა.

ამ დღეს კომუნისტურ შაბათობაზე ერთსულოვნად გამოვიდა სოფელი თეთაგერის სამშენებლო ტრესტი. ამ ქალაქის სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშამოსამსახურეებმა.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ მრეწველობისა და სამშენებლო ორგანიზაციების მიერ 17 აპრილს გამომუშავებული 390 ათასი მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში გადარიცხა 25.240 მანეთი.

ენგურჰესის მშენებლობაზე იმუშავა 6 ათასმა კაცმა. მაღ შორის 4 ათასი მშენებელი მუშაობდა მაღლივი კაუჩუკის ტანში ბეტონის ჩასხმაზე, „გვრიტების გაყვანაზე, ძალოვანი კვანძის მშენებლობაზე, 2 ათასი კაცი კი — მშენებლობის ტერიტორიებზე, მუშათა დასახლებების გაშენდადასუფთავებაზე. ენგურჰესელებმა 140 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს და ახალი ხუთწლედის პირველი წლის ფონდში 14.200 მანეთი გადარიცხეს.

დიდი გამოიცხლება იყო ზუგდიდის რაიონშიც. მოსახლეობა ერთსულოვნად მონაწილეობდა კომუნისტურ შაბათობაში.

ᲥᲘᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ 21.500 კაცი მონაწილეობდა კომუნისტურ შაბათობაში. მათ 31 ათასი მანეთი გადარიცხეს ხუთწლედის ფონდში. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი ფეროშენადნობი, ელექტროლემენტები, კაბელი.

წითელ შაბათობა სოფლის მშრომელებმაც შემოქმედებითი შრომით აღინიშნეს. მასში 7.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. შაბათობამ განსაკუთრებით ორგანიზებულად ჩაიარა სვირში, ალავერდში, კლდეეთში და არგვეთში.

ᲔᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲐ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. (საკ. კორ.). რაიონის სოფლებში — კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში ბიგრმა მშრომელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ლენინურ შაბათობაში. რაიონის ხორცკომბინატის მუშაკებმა 200 მანეთი გადარიცხეს ხუთწლედის ფონდში, დარეკეს 300 ნერკი, წესრიგში მოიყვანეს საამქროები, კარ-მიდამო.

ᲥᲐᲠᲔᲚᲘ. (საკ. კორ.). გაშენდა ახალი ბაღები: სოფლების ქუჩებსა და მოედნებზე, გზის პირებზე მრავალი ნერგი და ბუჩქი დაირგო.

მეცხოველეობის ფერმები დაინერგა 350 ათასი ეკონომიური ბალახი.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). რაიონის ტრანსპორტის ენერგეტიკოსებმა ერთსულოვნად გამოიღეს ერთიანი ბიუჯეტი. ამ ფულით ეკეთებოდა ბაღები, ბინა-ბინა ეწყობოდა ინვალიდებს, ოჯახებს, ბავშვთა ბაღებს, ეხმარებოდა ოჯახებს, ბინა-ბინა ეკეთებ

მსოფლიოს პროლეტარიატო, გაერთიანდი!

კომუნისტი

ბიბლიოთეკა

სასოფლო და საბაჟო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა კურსები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული და საბჭოთა მეშაკების გადამზადების კურსებზე სწავლა დამთავრა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და საბაჟო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა ჯგუფმა. ერთი თვის მანძილზე მათ მოისმინეს ლექციები მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის აქტიურ პრობლემებზე, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიური პროცესების მართვის საფუძვლებზე, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე.

სასწავლო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ ისტორიული XXV ყრილობის, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მასალების შესწავლას.

კურსებზე ლექციები და მოხსენებები წაიკითხეს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. კ. ბურკაძემ, პროფესორმა შ. დ. ციკურიშვილმა, დოცენტებმა ი. ვ. ბაქრაძემ, ვ. ა. ბურდულმა, ე. გ. ქვათაძემ, ა. ი. პაპაიამ, ა. ი. ცაცაშვილმა და სხვებმა. მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი გ. ვ. რობიტაშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ვ. ა. სობოლევი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. გ. რთველაშვილი, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი მ. ა. მეზურაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე გ. ვ. დანელია, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველი მოადგილე კ. ნ. გოგლიძე, კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე მ. ნ. ინაური, ფინანსთა მინისტრის მოადგილე რ. შ. კაკულია, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ვ. ვ. ყაზიხაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ი. შატერი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ე. თ. ნოჩიჩა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. გ. კალანდარიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. კ. იოსავა, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. გ. თავზარაშვილი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ფარანიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხთა განყოფილების გამგე მ. ფ. ბაღათურია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე ჯ. ვ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგილმდებარე საბჭოთა ორგანოების განყოფილების გამგე ი. ბ. ურუშაძე.

მსმენელთათვის მოეწყო პრაქტიკული მეცადინეობა, რათა გასცნობოდნენ თელავისა და გორის რაიონების სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაობის გამოცდილებას. ისინი იყვნენ აგრეთვე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში.

კურსების მსმენელები შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზ. ა. პატარიძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ჯ. ვ. გელაშვილს, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზ. ა. კვაჭაძეს.

(საინფორმი).

ისტორიული წერილი

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში საეკიალურ სტენდზე წარმოდგენილი ვ. ი. ლენინის ისტორიული წერილის („აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს") ქარხული ტექსტი და ოფიციალური ფოტოპირი. შეიცავს პროგრამას, თუ როგორ უნდა აღორძინდეს ეკონომიურად და სოციალურად ეს მხარე, როგორ უნდა შეიქმნას აქ საბჭოთა რესპუბლიკების მეუღრო კავშირი — ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობის ნიმუში.

წერილი ვ. ი. ლენინმა დაწერა 1921 წლის 14 აპრილს, ე. ი. 55 წლის წინათ და კავკასიაში გამოგზავნა ა. თ. მიასნიკოიის (მიასნიკიანის) ხელით. იქვე წარმოდგენილია მასალები, რომლებიც ასახავენ ლენინის ანდერძის განხორციელებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ლენინურ კურსს, პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომელმაც შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის და, ეერძოდ, საქართველოს საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების პროგრამა. გამოფენაზე წარმოდგენილ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ამსახველ მასალებში განსაზღვრულია რეპუბლიკის მიღწევები მეათე ხუთწლედში. (საინფორმი).

ეს ბერაკთები მკითხველმა გამოგზავნა

● **ახალდაქორწინებულთა ხეივანი**

ჟუთაისი. ავტომშენებელთა დასახლებასთან მდებარე პარკი ახალდაქორწინებულთა ხეივანად დაამშვენა. ამ ხეივნის გაშენების იდეა საავტომობილო ქარხნის რაიონალიზატორთა და გამოგონებელთა ახალგაზრდული ბრიგადის, კომკავშირის პრემიის ლაურეატმა შ. გიგინეიშვილმა წამოაყენა.

ხეივანში პირველი ნარგავები ახალდაქორწინებულებმა ნ. ბრეგაძემ, დ. კაპანაძემ, გ. ჯალაღანიამ და მ. ერორეოლიანმა დარგეს. ამ წყვილებს ბედნიერება საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის წარმომადგენლებმა მიულოცეს.

ახალდაქორწინებულების მიერ ხეების დარგვა აქ უკვე ტრადიციად იქცა.

დ. დიდიძე.

● **ბამბუკის სიკეთე**

ბათუმი. აჭარის სუბტროპიკულ ზონაში ბამბუკმა სამუდამოდ დაიდო ბინა. ჩაქვის ჩაისა და ციხისძირის საბჭოთა მეურნეობებსა თუ ბოტანიკურ ბაღში შორიდანვე ყურადღებას იპყრობს მარადმწვანე ბამბუკის ხავერდოვანი პლანტაციები. ბაზაფხულზე მათ მუქ-ლურჯი ფერი დაკარგეს, შემოდგომაზე — მოყვითალო.

ბამბუკი მარტო დეკორატიული მცენარე როდია. მისგან ამზადებენ სხვადასხვა ნაკეთობებს და სამშენებლო მასალადაც იყენებენ. ბამბუკის ნაგებობები გამოირჩევა სიმსუბუქითა და ელეგანტურობით.

ბათუმში მნახველთა ყურადღებას იპყრობს ბამბუკისაგან აგებული სპორტული ინვენტარის გასაქირავებელი პავილიონები პლაჟზე, სუვენირებისა და ყვავილების ფარდულები ნავსადგურთან; ზღვისპირეთის პარკში ბამბუკისგან აიეო ქადრაკის სათამაშო პავილიონი. ახლახან აქვე გაიხსნა ბამბუკის ხისაგან აგებული საქალაქთაშორისო ტელეფონის ჯიხურები.

ნანა გორგილაძე.

● **აუდიტორია ღია ცის ქვეშ**

ცხინვალი. არც ტრიბუნა იყო და არც სავარძლები. გაზაფხულის სითბო და სურნელი ტრიალებდა, ხეებიდან ჩიტების გალობა ისმოდა, მინდვრებიდან კი ბის სურნელება იფრქვეოდა. თავმეყარილ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს შორის იდგა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვასილ ხეთაგუროვი და საუბრობდა ოსეთის ბუნებრივ რესურსებზე, მათ რაციონალურ გამოყენებაზე მოუთხრობდა.

ბუნების დაცვის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა. ამან გაახალისა მსმენელები. ლექციის შემდეგ ისინი დიდხანს არ დაშლილან, საუბრობდნენ სამხრეთ ოსეთის ფლორისა და ფაუნის შესახებ, მისი მოვლის, გაშენებისა და დაცვის საკითხებზე.

ბუნების დაცვა საყოველთაო-სახალხო საქმეა. სახალხო უნივერსიტეტის სამუშაო გეგმაც სწორედ ამ ხაზით არის შედგენილი. მომავალი მეცადინეობა სოფელ კროხაში უნდა მოეწყოს; მაისში კი — ეროს ტბის პირას. აქ მორიგი მეცადინეობა სამხრეთ ოსეთის წყლის რესურსებს ეძღვნება.

სახალხო უნივერსიტეტის რექტორატმა უკვე შეადგინა სამახსოვრო — „რა უნდა იცოდეს ტურისტმა ბუნების შესახებ".

გ. იმერლიშვილი.

● **იყალთოს აკადემიაში**

თელავი. ალაზნის ველზე გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა. ახლა ყოველი მეგენახე ყინვაგამოვლილ ზვრებში ტრიალებს.

ჭირნახული ვაზისათვის დიდ მზრუნველობას იჩენს იყალთოს უძველესი აკადემიის ნაფუძარზე შექმნილი სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი გ. შათირიშვილი). როგორც კი მკაცრი ზამთრის შედეგები გამოვლინდა, სახალხო უნივერსიტეტის საბჭო შეიკრიბა. მოიწვიეს გამოცდილი სპეციალისტები და ფაკულტეტებში გაიმართა მსჯელობა დაზიანებული ვაზის მკურნალობა-აღდგენისა და პრაქტიკული დახმარებისათვის.

სახალხო უნივერსიტეტის მსმენელები დილიდან საღამომდე ქართულ ზვრებს თავს დასტრიალებენ, ნიადაგს აფხვიერებენ, სარ-მავთულს არემონტებენ, მწკრივებში სასუქები შეაქვთ. უნივერსიტეტის 312 მსმენელიდან ორას კაცზე მეტი შეეფინა ზვრებს. მწვანე ოპერაციების დაწყებისთანავე მათ მხარში დანარჩენი მსმენელები, მათ შორის დიასახლისებიც ამოუდგებიან.

ა. ინაკაძე.

17 აპრილი

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკადრო და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

საიდუმლო ვოიაჟი

ვაშინგტონი, (საკადრო). ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა ჯ. ბუშმა განაცხადა, რომ ამას წინათ იმოგზაურა „უცხოეთის სამ სახელმწიფოში".

ბუშმა უარი თქვა დაესახელებინა ეს სახელმწიფოები, მაგრამ საქმეში ჩახედული მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფი იყო დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. აქ მიაჩნიათ, რომ ბუშის მოგზაურობა მიზნად ისახავდა გავლენა მოეხდინა ამ ქვეყნებში მომავალი არჩევნების მსვლელობაზე.

□

ერთსულოვნების ვითარებაში

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

პრაღა. (საკადრო). აქ მუშაობა დაამთავრა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XV ყრილობამ.

ყრილობის საბოლოო სხდომაზე გამოაცხადეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წინადადებით გამართული არჩევნების შედეგები.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლადარჩეულმა შემადგენლობამ თავის პირველ პლენუმზე ერთხმად აირჩია ამხანაგი გუსტავ ჰუსაკი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

გ. ჰუსაკმა ყრილობის დელეგატებს გააცნო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შედეგები. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხანაგები ვ. ჰუსაკი, ვ. ბილიაკი, კ. ჰოფმანი, ვ. გუსა, ა. ინდრა, ა. კაპეკი, ი. კემპნი, ი. კორჩაკი, ი. ლენარტი, ჰ. ცოლოტკა, ლ. შტროუგალი. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატებად პლენუმმა აირჩია ამხანაგები ი. ბარილი და მ. გრუშკოვიჩი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად — ამხანაგები ვ. ბილიაკი, ი. ბარილი, ი. გაგლინი, ი. კემპნი, ი. ფეიტიკი. ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხანაგი მ. ბაკუში.

დელეგატებმა ერთხმად მიიღეს ყრილობის დადგენილება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო „პარტიის საქმიანობა და საზოგადოების განვითარება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობის შემდეგ ამოცანები", რომელშიც მთლიანად და სავსებით მოიწონეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა XIV ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში. მათ დაამტკიცეს დირექტივები „ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში" და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის მოხსენება. ყრილობამ მიიღო აგრეთვე სოლიდარობის განცხადება იმპერიალიზმის, ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლებისადმი.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ჰუსაკმა.

□

სოლიდარობის ძალა

ხვალ, 19 აპრილს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შინაგაში გაიმართება აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან საქართველოს სოლიდარობის III-4 რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც განიხილავს ამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გაწეულ მუშაობას და დასახავს მოგავლის ამოცანებს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

პარტიის XXV ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ნათქვამია, რომ „საბჭოთა კავშირის ნამოკიდებულება განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე რთული პროცესებისადმი ნათელი და გარკვეულია. საბჭოთა კავშირი არ ეძებს სხვა ქვეყნებისა და ხალხების საშინაო საქმეებში. პატივი სცეს თვითეული ხალხის, თვითეული ქვეყნის იმ წმიდათაწმიდა უფლებას, რომ თვითონ აირჩიოს განვითარების გზა, ლენინური საგარეო პოლიტიკის ურყევი პრინციპია. მაგრამ არ ვმალავთ ჩვენს შეხედულებებს. განვითარებულ ქვეყნებში, ისევე როგორც ყველგან, ჩვენ პროგრესის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ძალების მხარეზე ვართ და მათ ისე ვეკვეცვით, როგორც შეგობრებსა და თანამებრძოლებს".

ამ სიტყვების ჭეშმარიტებას თვალნათლივ მოწმობს კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების აქტიური მხარდაჭერით, მატერიალური თუ მორალური დახმარებით მიღწეული წარმატებები.

ამ უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში სწორედ ასეთი ინტერნაციონალური სოლიდარობის ძალის დახმარებით გახდა შესაძლებელი ამერიკის იმპერიალიზმისა და საიგონის მარიონეტული რეჟიმის დამარცხება ვიეტნამის მიწაზე, აზიის ახალი თავისუფალი სახელმწიფოების: ბანგლადეშის, ლაოსის, კამბოჯის, შრი ლანკას და სხვათა დაბადება.

საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ქვეყნები, მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა მხარს უჭერენ აფრიკის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას, მათს მისწრაფებას ერთიანობისადმი, თანაგრძნობით ეკიდებიან მათს სიძნელეებს, ამ ერთიანობის გზაზე რომ ეღობებათ, და ახარებთ ამ გზაზე მიღწეული ყოველი მათი წარმატება.

საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალებს კი მოსვენებას არ აძლევს აფრიკის კონტინენტზე ანტიეროლონიური და ანტიიმპერიალისტური პროცესის გაღრმავება და ცდილობენ ამ კონტინენტზე ახალი ცხელი წერტილების შექმნას. განა ამას არ მოწმობს ანგოლის ინტერვენციის. ცდა, რომელმაც საბოლოოდ კრახი განიცადა?

ანგოლელი ხალხის გამარჯვებაში არც თუ მეორეხარისხოვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების უანგარო დახმარებამ.

მიუხედავად იმ წარმატებებისა, რომელსაც აზიისა და აფრიკის ხალხებმა მიაღწიეს კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, შედარებით ხანმოკლე პერიოდში ამ კონტინენტებზე ბევრმა ხალხმა თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჯერ კიდევ არიან კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები, ჯერ კიდევ არსებობს დაბაბულობა, გამუქებულია და სრულ ლიკვიდაციას რომ საჭიროებს. და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს არ სურთ ხელიდან გაუშვან ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში არსებული სიმდიდრეები, ამ ქვეყნების ნაწილის ხამხედრო ბაზებად გამოყენება სურთ და ა. შ.

ამდენად თანამედროვე ეტაპზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა პრაქტიკულად ეშესპლოატაციური ურთიერთდამოკიდებულების (ეს ფეოდალური იქნება თუ კაპიტალისტური) წინააღმდეგ ბრძოლაში გადაიზარდა. ეს ბრძოლა, ეროვნულ განთავისუფლებასთან ერთად, სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების მიზნებსაც ისახავს.

ასეთ ვითარებაში კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაგალითის ძალას, აზიისა და აფრიკის ხალხებთან ეკონომიური, კულტურული, მეცნიერული კონტაქტების დამყარებას, დელეგაციების, ინფორმაციის ურთიერთგაცვლას.

აზიისა და აფრიკის ხალხებთან სოლიდარობის საბჭოთა კავშირის კომიტეტი, და კერძოდ, საქართველოს კომიტეტი თავის ამოცანად ყოველთვის ისახავდა და ისახავს ყოველგვარი მხარდაჭერა აღმოუჩინოს აზიისა-აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებსა და ორგანიზაციებს თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. გააცნოს ჩვენი ქვეყნის, თუნდაც საქართველოს სსრ მაგალითზე, საბჭოთა ხალხის გრანდიოზული მიღწევები კომუნისტურ მშენებლობაში.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად იმყოფებოდნენ ტანზანიის, განის, ლიბანის, კუბის, ნიპალის, სიერა-ლეონეს, ვიეტნამის, ფილიპინების, მადაგასკარის და სხვა ქვეყნების დელეგაციები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას გაეცნენ და ღირსეულად შეაფასეს ჩვენს საზოგადოებრივობასთან შეხვედრები. ზოგიერთ მათგანთან ხისტემატური კონტაქტებიც კი დამყარდა — მიმოწერა და საინფორმაციო მასალების ურთიერთგაცვლა და სხვა.

სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის ინიციატივით, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოშიც ეწყობა მრავალი ღონისძიება, რომლებიც მიზნად ისახავს კოლონიალიზმის, რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ აფრიკის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერას. 21 მარტს, მაგალითად, რესპუბლიკის სხვადასხვა დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ფაბრიკა-ქარხნებში მოეწყო საზოგადოებრიობის მასობრივი მიტინგები და კრებები, რომლებიც რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს მიეძღვნა.

ასევე ყოველი წლის 25 მაისს აღინიშნება აფრიკის განთავისუფლების დღე.

სოლიდარობის მოძრაობის წინაშე სულ უფრო ფართო მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიური პრობლემები ისახება. აქედან გამომდინარე, სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის ინიციატივით ბევრი ღონისძიება განხორციელდა, რომლებიც ხელს უწყობს აფრიკა-აზიის ქვეყნებს თავიანთი ეკონომიკის განვითარების სწორი გზის არჩევაში.

მაგალითად, 1971 წელს ქ. ფრუნზეში გაიმართა საერთაშორისო სემინარი თემაზე „შუა აზიის რესპუბლიკებში აგრარულ გარდაქმნათა გამოცდილება და მისი მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნებისათვის", 1972 წელს ტაშკენტში გაიმართა კონფერენცია „სსრ კავშირში სოციალისტური გარდაქმნების გამოცდილება და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა". ორივე ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ჩვენი მეცნიერები, სოლიდარობის საქართველოს კომიტეტის წევრები.

საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მუდამ მზად არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ აზიისა და აფრიკის თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს, და დღეს ძმურ სოლიდარობას უცხადებენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მათს სამართლიან ბრძოლაში, გულით უსურვებენ ხაბოლოო გამარჯვებას.

ნ. კოპლაშვილი,

აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის საქართველოს კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი.

★ ტალია: მთავრობის „კრიზისი" მწიფდება

რომი, (საკადრო). კვლავ დაძაბულია პოლიტიკური ვითარება იტალიაში, სადაც მწიფდება მთავრობის კრიზისი და პარლამენტის ვადამდელი არჩევნები. მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის სხდომაზე განიხილეს პოლიტიკური მდგომარეობა. მიიღეს დოკუმენტი, რომელშიც ყველა პარტიას წინადადებას აძლევენ შეიმუშაონ სასწრაფო ღონისძიებანი ეკონომიკის დარგში. მაგრამ ადგილობრივ მეთვალყურეებს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის გადაწყვეტილება პიაჩენიათ ტაქტიკურ მანევრად, რომელიც მიზნად ისახავს მთავრობის კრიზისისათვის პასუხისმგებლობა დააკისროს სხვა პარტიებს.

გამმართა აგრეთვე სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის სხდომა, რომლის მხარდაჭერაზეც დამოკიდებულია ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მთავრობის არსებობა.

რომი, (საკადრო). გაიმართა იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნოსა და ხელმძღვანელობის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც განიხილა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა.

სხდომის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: ბოლო დღეების ამბები ცხადყოფენ, თუ რამდენად დამაჯერებელი და დროული იყო კომუნისტების მიერ 7 აპრილს წამოყენებული წინადადება, რომ უნდა მივადწიოთ უმრავლესობის ყველა დემოკრატიული პარტიისა და ოპოზიციის ისეთ შეთანხმებას, რომელიც იმოქმედებს ახლანდელი პარლამენტის რწმუნებულებათა ვადის გასვლამდე. ქრისტიანმა დემოკრატებმა ხაჩარეგად უარი თქვეს ამ წინადადებაზე, რის შედეგად დროც დაიკარგა და მკვეთრადაც გამწვავდა პოლიტიკური ვითარება იტალიაში, რამაც შეამცირა შესაძლებლობა, რომ თავიდან ავიცილოთ პარლამენტის არჩევნების ვადამდე გამართვა.

კაპიტალის ქვეყნებში

იტალია. სიცილიის ვალ-დი-ბელიჩეს რაიონის მცხოვრებლები იტალიის დედაქალაქში ჩავიდნენ, რათა პროტესტი გამოეთქვათ ცხოვრების ძმიმე პირობების გამო.

სურათზე: ვალ-დი-ბელიჩეს მცხოვრებთა დემონსტრაცია რომის ერთ-ერთ მოედანზე. პლაკატზე წარწერაა: „ვალ-დი-ბელიჩე ეროვნული ხირცხვილია".

იუპი-საკადრის ფოტო.

საკადრო იტყობინებიან

ტელეტაიპის ლენტიდან

ოტავა

კანადის კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა ყველა კანადელს გააჯაღონ ბრძოლა ქვეყნის ახალი, ნამდვილად ეროვნული დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებისათვის.

კანადის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ევროთურდებული აქტი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის შესახებ, რომელიც კანადის ძირითადი კანონია, ერთ დროს კანადას თავს მოახვია ინგლისმა. „იგი „შეიცავს ეროვნული ჩაგვრისა და უთანასწორობის ელემენტებს, რომლებიც ძირს უთხრიდნენ და კვლავაც ძირს უთხრიან კანადის ერთიანობას".

დელი

აქ გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის 1976-1980 წლების ახალი საპაჭრო შეთანხმების საზეიმო ცერემონია.

შეთანხმება ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის საჭრო მოცულობის გადიდებას 1980 წლისთვის 1,5-2-ჯერ წინა ხუთწლედში მიღწეულ დონესთან შედარებით.

როგორც სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა აღნიშნა ხელმოწერის ცერემონიაზე, ინდოეთი ამჟამად საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი საგაჭრო პარტნიორია.

პარიზი

საფრანგეთში მოქმედი ნავთობგის კომპანიების ფინანსური მაძიებლობიების გამოსაყენებლად სპეციალური საგარლამენტო კომისიის შექმნა მოითხოვა ეროვნული კრების დეპუტატმა ჟორჟ მარშეამ.

ეროვნული კრების თავმჯდომარის ე. ფორისათვის გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავს, რომ ამ კომისიამ უნდა დაადგინოს, თუ რა მონაწილეობას იღებდნენ ნავთობის მონოპოლიები საფრანგეთში და საზღვარგარეთ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაში.

ბონი

მარტო დასავლეთ გერმანიის ჰესენის მხარის სკოლებში აკლიათ 8 ათასზე მეტი მასწავლებელი.

ამის შედეგად დაწყებითის და საშუალო სკოლებში, აგრეთვე გიმნაზიებში მოსწავლეები კარგავენ სხვადასხვა საგნებში გაკვეთილების სულ ცოტა 20 პროცენტს. ეს აღნიშნულია მაინის ფრანკფურტში ქალაქ ქვეყნებულ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცნობაში.

ჩვენი კომენტარი

ქანონზომიერი აქტი

ამ რამდენიმე დღის წინათ კანადის პრემიერ-მინისტრმა პ. ტრუდომ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობის დოკუმენტი — წინადადება ეროვნული კონსტიტუციის მიღების შესახებ.

მას შემდეგ, რაც შვიდწლიანი ომის (1756-1763 წწ.) შედეგად ინგლისმა საფრანგეთს წართვა კანადა, ერთი დღითაც არ შეწყვეტილა კანადელი ხალხის ბრძოლა ბრიტანეთის კოლონიალიზმის წინააღმდეგ. სწორედ ამ ბრძოლამ აიძულა ინგლისის მთავრობა კუდმოკვეცილი რეფორმები გაეტარებინა კანადის კოლონიური მმართველობის სფეროში და 1867 წლის მარტში ინგლისის პარლამენტმა მიიღო ე. წ. ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის აქტი, რომელსაც იმავე წლის პირველ ივლისს მიეცა ძალა და დღესაც კონსტიტუციის მაგვრად მოქმედებს კანადაში.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი კანადა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენს, სახელმწიფოს მეთაურად კვლავინდებულად ინგლისის დედოფალი ითვლება, მოქმედებს გენერალ-გუბერნატორის ადმინისტრაცია (ამჟამად გენერალ-გუბერნატორია ჟიულ ლეჟე), ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული ნებისმიერი კანონი შეიძლება გაუქმოს ინგლისის პარლამენტმა.

უნდა აღინიშნოს, რომ პ. ტრუდოს მთავრობის წინადადება ეროვნული კონსტიტუციის მიღებისა და ინგლისზე დამოკიდებულების უკანასკნელი, უფრო სიმბოლური, ვიდრე რეალური ფორმების მოსპობის შესახებ, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია ქვეყნის ფართო დემოკრატიულ-პატრიოტული წრეების მოთხოვნით.

რამდენიმე წელია, რაც კანადაში ნაყოფიერად მოდვაწეობს საზოგადოებრივ-პატრიოტული ორგანიზაცია — კანადის ეროვნული კომიტეტი. მისი საქმიანობის სფერო ერთობ ფართოა: დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრინციპებიდან დაწყებული და სკოლებში სწავლების სისტემის ეროვნულ-პატრიოტულ საწყისებზე დაფუძნების მოთხოვნით დამთავრებული. კომიტეტი გარკვეულ მუშაობას ეწევა ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე კანადელთა შორისაც, რათა აღმოფხვრას კანადის ორენოვან თემს შორის ინგლისელ კოლონიზატორთა მიერ სტიმულირებული უნდობლობა და სეპარატიზმის ტენდენცია.

რამდენადაც ბრიტანეთის პარლამენტის აქტი საგრძნობლად არის შეზღუდული ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე კანადელთა უფლებები, მმართველი ლიბერალური პარტიის (რომელის ლიდერიც ახლანდელი პრემიერი მ. ტრუდოა) მომავალი საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ ძირითად პუნქტად მიმმხილველები უკვე ასახელებენ კონსტიტუციის საკითხს. პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე კანადელთა ინტერესების დაცვას.

ამრიგად, მართალია ინგლისის პარლამენტის მიერ 109 წლის წინათ მიღებულ აქტს ფაქტიურად უმნიშვნელო რეალური ძალა შემორჩა, არამ მისი შედეგები დღემდე ახლაც უარყოფით გავლენას ქვეყნის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესზე. ამ მხრივ მთავრობის წინადადება ორმხრივ დროული და გამართლებული აქტია.

ს. ცინცაძე.

მეგობრობა გზად და ხიდად

დაე, ვიეტნამშიც იხაროს „დოლის ჰურმა"

სურათზე: ახალგაზრდა ვიეტნამელი მეცნიერი ნონგ ჰონგ თაი.

კ. ბიკირიას ფოტო.

ქართველ მეცნიერთა ალზრდილი ვიეტნამელი ნონგ ჰონგ თაი საამოგლოში მივემგზავრება

ვიეტნამელი ნონგ ჰონგ თაი ოთხი წელი სწავლობდა საქართველოს სასოფ

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ალინიშნა:

მწერალი არა მარტო ყოფა-ცხოვრების აღმწერელი, არა მარტო ჩვენი დროის უველა გმირული საქმის მოამაგე, არამედ ამასთან ერთად უველა იმ შესამჩნევი ცვლილების მონაწილე და შემოქმედი, რომლებიც ხდება ახლა ჩვენი რესპუბლიკის, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის უველა სფეროში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲠᲝᲪᲐ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲧᲕᲘᲠᲘᲐ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲧᲕᲘᲠᲘᲐ

ᲞᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲞᲘᲥᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ

ᲜᲘᲐ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ᲫᲘᲔᲑᲐ, ᲫᲘᲔᲑᲐ...

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲙᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ



ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲞᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲞᲘᲚᲐᲘᲐ

ᲞᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲞᲘᲚᲐᲘᲐ

ᲞᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲞᲘᲚᲐᲘᲐ

ᲞᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲞᲘᲚᲐᲘᲐ

ᲗᲔᲛᲘᲗᲠᲐᲖᲔ ᲣᲚᲘᲜᲝᲕᲘᲚᲘ

ᲜᲘᲐ



ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲘᲙᲘ — ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲞᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ოვიი

ამ სიტყვას რომ გაიგონებ, ან თვითონ წარმოთქვამ — მაშინვე თვალწინ წარმოგვიდგება 1941 — ქვეყნის, ხალხის უმძიმესი წუთები, დღეები...

განსაცდელში ჩავარდნილი მამულის თვითეული ღირსეული შვილი, ყველა, ვისაც რით შეეძლო, ფრონტზეც და ზურგშიც თავდადებით იბრძოდა უბრალოესი მტრის წინააღმდეგ.

და მათ შორის იყო კიდევ ერთი ადამიანი, ომის დაწყებიდან დამთავრებამდე თვითეულ ჯარისკაცს, ოფიცერს, გენერალს, მარშალს, მუშას, კოლმეურნეს, ყველს მხარში რომ ედგა, როგორც თანამებრძოლი. მისგან ისმენდა ქვეყანა. მსოფლიო განსაკუთრებული მნიშვნელობის ცნობებს, იგი აუწყებდა მსმენელებს ფრონტის მაჯისცემას. წარმატებები და წარუმატებლობას, მისი ხმა მოუწოდებდა შურისძიებისაკენ და ხალხს გამარჯვების რწმენას ულერავდა.

— კეირა დღის, გამთენიისას, იქეს საათზე, ტელეფონი აწკრიალდა, — იხსენებს საკავშირო რადიომაუწყებლობის ცნობილი დიქტორი იური ბორისის-ძე ლევიტანი. — მიბრძანეს დაუყოვნებლივ სტუდიაში გამოცხადდეთ. მოსკოვს იძინა. მე, რაც შემეძლო, მივიჩქაროდი. გზაშივე შევიტყე, რომ ჯერმანელი ფაშისტები დაგვსხმოდნენ თავს... დამავალეს თერთმეტ საათსა და 30 წუთზე გამომეცხადებინა რადიოთი, რომ თორმეტ საათზე განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ცნობა იქნებოდა გადაცემული.

შესრულდა 12 საათი. მილიონობით ადამიანი ისმენდა:

„დღეს, დილის 4 საათზე, საბჭოთა კავშირისათვის რაღაც პრეტენზიის წარუდგენლად, ომის გამოუცხადებლად, ჯერმანიის ჯარები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას, ბევრ ადგილას იერიში მიიტანეს ჩვენს საზღვრებზე — და თავიანთი თვითმფრინაველებიდან ყუმბარები დაუშინეს ჩვენს ქალაქებს...

...ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი განადგურებული იქნება! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“.

ხალხისადმი საბჭოთა მთავრობის ეს ვანცხადება მთელი დღის ვანმავლობაში მრავალჯერ გადასცა იური ლევიტანმა. გადაწყდა, რომ ომის დამთავრებამდე ყველა მნიშვნელოვან მასალას, მათ შორის საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს რადიოთი მხოლოდ ლევიტანი გადასცემდა....

ეს ხმა დიქტორის უდიდესი დათასება და ნდობა იყო!

3 ივლისს იური ლევიტანი კრემლში მიიხმეს სახელმწიფოებრივ მოწყობილ მცირე სტუდიაში და როცა შეიტყო, რომ ი. ბ. სტალინის რადიოთი გამოსვლა უნდა გადმოცხადებინა, სიხარული და დამნეულობა ერთმანეთში აერია. ერთი პირობა თოქოს შეურთა, დაიბნა ოდენ. მაგრამ ეი კარი გაიღო, სტუდიაში სტალინი შემოიფრა. ყველას ღიმილით მიესალმა, დაძაბულობა გაქრა. ყველა დამშვიდდა...

— თქვენ ხართ ლევიტანი? — შემეკითხა სტალინი.

— დიახ! — მივუგე.

სპეციალური შეხვედრები

ხმა სიმართლისა

— რაღას უყურებთ, მზადა ვარ, დაიწყოთ!

— სიზმარში მეგონა თქვი, — მიყვება ლევიტანი.

— ახლოს მოდით, — საწერი ქაღალდი აიღო, კალამი მოიმარჯვა, რაღაც დაწერა, გამომიწოდა და მითხრა:

— აბა, გამომძახეთ ეს ასე გამოაცხადეთ.

ერთი კი გადავავლე თვალი ქაღალდს და დავიწყე — ყურადღება, ყურადღება! მიკროფონთან არის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე სტალინი...

ცხარე დღეები დადგა. მტერი ეცეცხლთა და მახვილით მოიწევდა წინ არ ინდობდა პატარებს, ქალებსა და მოხუცებს, ანადგურებდა სოფლებსა და ქალაქებს, საუკუნოვან კულტურის ძეგლებს.

ფაშიზმისადმი სიძულვილით აღსილი იური ლევიტანი 1941 წლის აგვისტოში კომუნისტური პარტიის რიგებში შეიდა და მეტი მონდომებით, ანთებული, პატრიოტული გულით განაგრძობდა პრძოლას თავის სამაბრო და პასუხსაგებ პოსტზე...

ლევიტანის ხმა რწმენას ულინგავდა არმიასა და ხალხს, თავზარს სცემდა დამპყრობლებსა და მათს სარდლობას. ფაშისტებს დიქტორის ხმა სულ უფრო არწმუნებდა საბჭოთა არმიის ძლევამოსილებაში...

ამიტომ იყო, რომ იური ლევიტანმა ფრონტებიდან შებრძოლთა ათასობით წერილი მიიღო.

ერთ-ერთ წერილში ჩვენი თანამემამულე, თბილისელი ივოლიტე კაკაბაძე 1942 წლის 14 იანვარს სწერდა დიქტორს: „...თქვენი ეთერლშობიერ სიმართლეს ხმა ჩვენთვის ყოველთვის ძვირფასია და მშობლიური. მართალია, როცა გისმენთ, ზოგჯერ ვფიქრობ, მტკივნეულად განვიცდით ზოგიერთი ფრონტის უბნებზე დამარცხებას, მაგრამ ვამაყობთ ამიტომ, ჩვენები რომ მტერს ეტიენენ და წინ მივიწევთ — მაშინ თქვენც გეტყობათ, რომ გიხარიათ, ხმაში გემჩნევათ, რიხიანად მოგვითხრობთ“.

— ერთხელ ფრონტიდან დაბრუნებულმა ჩვენმა კორესპონდენტებმა, — მიამბობს იური ბორისის-ძე, — ბირვენეს ფაშისტების მიერ გაფრცელებული ფურცლები, რომლებშიც მოსკოვის რადიოსადმი მკაცრი მუქარა იყო გამოთქმული. ეს ერთხელ კიდევ დაგვეხმარა ღრმად დავრწმუნებულიყავით ჩვენი მუშაობის დიდ მნიშვნელობაში.

მოსკოვის მისაფრეკებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების დროს ჰიტლერელებს გადაწყვეტილით ჩემი შეპყრობა და ბერლინში ჩაყვანა, რათა გამოეცხადებინა საბჭოთის დედაქალაქის — მოსკოვის დაცემის გარდუვალობა. „ბირიქით კი მოხდა! — თქვა და გაიღიმა, — ბედნიერება მომეცა მოსკოვის რადიოთი მთელი მსოფლიოსთვის მემცნო, რომ საბჭოთა არმიამ ბერლინი აიღო და თავის ბუნაგშივე გაანადგურა „ყოვლისშემძლე“ ფაშისტური არმია...

დიდ სამამულო ომში უმწიკლო მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 1 მაისის ბრძანებულებით იური ლევიტანი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა, სამშობლოს დიდი ჯილდო ლევიტანს პირადად კალინინმა გადასცა.

ომი დამთავრდა — გავიმარჯვეთ. 1945 წლის 9 მაისს მოსკოვის წითელ მოედანზე გამარჯვების აღლუმი მოიწყო. ზეიმობდა ჩვენი დიდი სამშობლო და მისი უძლეველი, ძამაცი ხალხი. წითელი მოედნიდან გამარჯვების დღესასწაულის რეპორტაჟს იური ლევიტანი გადმოსცემდა...

ქვეყნისა და ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ლევიტანს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო არტისტს საპატიო წოდება მიენიჭა, ხოლო 1974 წლის 4 ოქტომბერს საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა სახელოვანი დიქტორის დაბადების მე-60 წლისთავი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადაეცა.

„დიდი სამამულო ომის დროს ლევიტანის მიერ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებისა და უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებების წაკითხვას დიდი აგიტაციისა და პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა, უმოკიერ ზემოქმედებას ახდენდა“ — ასეთ შეფასებას აძლევს დიდი საბჭოთა ენციკლოპედია იური ლევიტანის მოღვაწეობას.

გამომშვიდობებისას მასპინძელმა „კომუნისტს“ მკითხველთა სახელზე ბარათი დაწერა და გამომატანა:

„გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს. ძვირფასო სტუმართმოყვარე მეგობრებო! თქვენ, საქართველოს ლამაზი მიწა-წყლის ნიჭიერ, დაუღლელ მშრომელებს გულითად, გულთბილ სალამს გითვლით!

გისურვებთ ჭანმრთელობასა და დიდ წარმატებებს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

სიყვარულით ი. ლევიტანი“.

დღესაც ახალგაზრდული მეზნებარებით ეღერს იური ლევიტანის უბადლო ხმა. როცა რადიოთი ჩვენი დიდი ქვეყნის ახალი შრომითი წარმატებების ამბები ისმის.

გიორგი პაპიაშვილი.

ქ. მოსკოვი.



ლენინის ქუჩაზე.

ხ. სავიდის ფოტო.



ჭადრაკში სსრ კავშირის თასზე

პირველი ლიდერები

მეორე ტური. „ბურევესტნიკი“-„ავანგარდი“ — 3,5:2,5 (3 პარტია გადაიდო); „დაშბაკა“-„დინამო“ — 2,5:1,5(5); ცდსა-„სპარტაკი“ — 1:1(7); სოფლის მოჭადრაკეთა ნაკრები-„ტრუდი“ — 3:2(4).

ორი ტურის შემდეგ წინ არის „დაუგავა“ — 6 ქულა და 9 გადადებული პარტია.

მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან შავებით მოთამაშე ოსტატი გრინფელდი მსოფლიო ერთზე ფიქრობდა — როგორმე მტაცეა პოზიცია აეგო. შუა თამაშში ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მან ნიადწია კიდეც მიზანს. შავების „ცხენე-სიმაგრე“ ძლიერი და შეუვალი ჩანდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა მაინც შეძლო „კარიბჭის“ შენგრევა. თეორების ეტლი, მდგომარეობის საგრძნობი გამარტივების შემდეგ, მეტოქის განლაგებაში შეიჭრა. გრინფელდმა წაგო პაიკი და გადადებულ პარტიაში დამარცხება ელის.

ნანა ალექსანდრია თეორებით სიცილიური დაცვის წინააღმდეგ ყოველთვის თავისებურ სისტემას მიმართავს, რომელიც დეტალურად აქვს შესწავლილი. ოსტატმა სემინოვამ ცადა

ფეხბურთი

ბაკური მოსკოვში

გუშინ მოსკოვში, „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ბატრი დედაქალაქის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

დღეს, შეგახსენებთ, გაიმართება მესამე ტურის კიდევ სამი შეხვედრა, მათ შორის — ლენინგრადის „ზენიტისა“ და თბილისის „დინამოს“ ორთაბრძოლა. ამ **ბატრის მეორე ტაიმის რეპორტაჟი საქართველოს რადიოთი დაიწყება 19 საათზე (თბილისის დროით).**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲘᲡᲢᲘ ᲔᲚᲔᲠᲘᲡ

საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის რუსუდან გვასალიას კონცერტის გამო

რუსუდან გვასალიას ხალხურობის თეატრის საკონცერტო დარბაზში დაუვიწყარი ესთეტიკური სიამოვნება მოჰკვარა აუდიტორიას საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის — მევიოლინე რუსუდან გვასალიას ხელოვნებამ.

თბილისის კონსერვატორიის აღზრდილი (პროფესორ ლ. ნ. შიუკაშვილის კლასი) და ამჟამად მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტი ჩვენი საზოგადოების წინაშე წარსდგა, როგორც სავსებით დასრულებული არტისტი-ვირტუოზი. პირველივე შთაბეჭდილება შეექმნა ბგერის საგანგებო „ვოკალურმა“ სილამაზემ, თბილმა და ექსპრესიულმა მღერადობამ.

ჭრონოლოგიურად და სტილისტურად უაღრესად განსხვავებული შინაარსის და სტრუქტურის მქონე ნაწარმოებთა შთამბეჭდავი შესრულება ნიჭიერი მევიოლინის ფართო შატაკერული დიაპაზონის და დახვეწილი გემოვნების აშკარა მაჩვენებელია.

გვიანდელი მუსიკალური რენესანსის ერთ-ერთი შედევრი — ჟ. ტარტინის სონატა ვიოლინოსათვის ორდანის თანხლებით შეტად ძნელად შესასრულებელ ნაწარმოებად არის ცნობილი. რუსუდანმა დაკვრის კეთილშობილური მანერით, კლასიკური შტრიხების და უძნელესი ტრელების თავისუფალი ფლობით ტარტინისეული ლირიკის და მისადმი დაპირისპირებული ლაღი რიტმულ-დინამიკური სურათის მთელი მშვენიერება წარმოგვიდგინა.

არტისტული ვარდახსნის მოწმენი გავხდით, როცა რ. გვასალიამ ბრამსის კამერული შემოქმედების უბადლო ნიმუში — ვიოლინოს და ფორტეპიანოსათვის შექმნილი მესამე სონატა შეასრულა.

მუსიკალური ფერწერის მრავალფეროვნება გვიჩვენა ვირტუოზმა კონცერტის მეორე განყოფილებაში; მოსკოვის კონსერვატორიის IV კურსის სტუდენტის რ. გვასალიასა და კონცერტმეისტერის ინა კოლეგორსკაიას პიანისტურმა ოსტატობამ, ანსამბლური დაკვრის მაღალმა კულტურამ და მუსიკალობამ ხელი შეუწყო კონცერტის დიდ წარმატებას.

მევიოლინის შემოქმედებითი გამარჯვება განუყოფელ არის დაკვეშირებული მისი აღმზრდელის, პროფესორ ლ. შ. შიუკაშვილის დაყოლთან, რომელმაც საბჭოთა საიოლინო სკოლის „თანავარსკვლავედს“ ლიანა ისაკაძესთან ერთად ეს ახალი სახელი შესძინა.

ა. ლორია.

ᲬᲔᲠᲝᲒᲑᲘ ᲛᲝᲤᲠᲘᲜᲓᲜᲔᲜ!

მერე და რაო? იკითხავთ. ხაქმე ის არის, რომ ათი წლის წინათ უდროოდ, თითქოს უმიზეზოდ წეროები აიყარნენ და ჰოლანდიიდან გაფრინდნენ. ჰო და, მორჩა: მთელი ათი წლის განმავლობაში ჰოლანდიაში წერო აღარ ჩაფრენილა.

ახლა რაღა მოხდა? რატომ ჩაფრინდნენ? იმიტომ, რომ ჰოლანდიის მთავრობამ ქვანახშირის ხმარება 40-60 პროცენტით შეამცირა, იმ ქარხნის მილებზე კი, რომლებშიც ჯერ კიდევ ქვანახშირს იყენებენ, დაადგმევინა ბვარტლისა და სხვა გამონაბოლქვის დამჭერი; ასევე დიდება გამონაბოლქვის დამჭერი ავტომანქანებზეც. დაიწმინდა ჰოლანდიის ჰაერი, კვლავ ალაკვარდა ზეცა. აი, ეს გაიგეს წეროებმა, გაიგეს და ჩაფრინდნენ; ჩაფრინდნენ და სუფთა მიუტანეს მთელ ხალხს.

ასეთი სიკეთე მოიტანა ჰოლანდიელთა ენერგიულმა ღონისძიებამ, ეს კი ერთი ღონისძიებაა იმ მრავალ ღონისძიებათა შორის, რომლებიც დღესდღეობით უნდა ჩატარდეს მსოფლიოში.

ხომ ლამაზია ჩვენი ქვეყანა? ჩვენ გვინდა კიდევ უფრო კარგი და ლამაზი იყოს!

ზღაპარივით ჩაიფურჩქნება ხოლმე ჩვენი ქვეყანა აპრილსა და მაისში. ჰაკვიის ნუში და ტყემალი, ქლიავი და გარგარი, ჭერამი და ატამი, ბალი და ალუბალი, ხეები პატარლებივით დანანან გაკეთქვთებულნი წმინდა, სუფთა, ჭაღიმებულნი. მიწის პირიც დამშვენებულია მრავალნაირი ყვავილით: უნაზეს სუნელეს აფრქვევს ია და ზამბახი, ფურისული და შროშანი. ხუმბული და ნარგიზი, ცისთვალა და ენძილა, ზაფრანა და ჩიტისთავა, თეორ და მაჩიტა, ლაშქარა, ყაყაჩო და უთვალავი სხვა ჭიოტა ყვავილი. ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან ალისფერიაო, — იტყოდა ჩვენი ხალხი ასეთ დროს. ლაკვარდ ცაში და მზის სხივებში ბანაობს, ეღერტალეს გალობს. ბიჭკიკებს ტოროლა. დაბურული ხეებიდან ბანს აძლევს მოლაღური, ბაღმა ბალიდან — გუგული. იქვე მშვენე მდელოზე ბზა ბაუკვლევია მთიდან დაეშვებულ ანკარა ნაკადულს. მიეჭანება და თავის მკერდში ჩაუხუტებია ია და მისი თეთრი ღრუბლები. მთა და მისი ტყე.

დგახარ გაოცებული. სიხარულით ყელამდე სავსე. რაღაც ღვთიური სიმფონიაა ბუნებისა. ყვავილთა ფეროვნება, კრიალა ია. ზურმუხტი მთა და ბარი, ბრწყინვალე მზის სხივი, ფრინველთა გალობა, წყლის ჩქერა შერწყმული და ეს შეწყობილია ერთმანეთთან ისე, რომ ადამიანი ამ ბუნების ნაწილად ვრძნობს თავს, სიხარული და სიყვარული ავსებს მის სულსა და გულს, და როდესაც კაცის გული ამ გრძნობით არის სავსე, იგი სრულფასოვანი ადამიანია, მას შეუძლია იმოღვაწეს არა მარტო თავისთავისათვის, არამედ ქვეყნისათვის.

აი, ოუნდაც მარტო ამისათვის უნდა ვეფრთხილებოდეთ ჩვენს გარემო ბუნებას, მის დიდ საგანძურს.

სწორედ ამიტომაც უნდა გავეუფრთხილდეთ ყოველივე ტოტალს: თუ ეს აუცილებლობით არ არის გამოწვეული, ტყეში ხე არ უნდა მოიჭრას. ფრინველ-ნადირი არ უნდა მოიკლას, ყვავილიც კი არ უნდა მოიწყვიტოს, რომ ამით მიწას თესლი არ მოაკლდეს. მდინარეში ჭარხნის გადამუშავებული წყალი არ უნდა ჩაიშვას, რომ ბუნებას ეს განუმეორებელი მადი — მტკნარი წყალი, ურომლისოდ ადამიანს სიცოცხლე არ ძალუძს, არ მოიწამლოს. მოწამლულ წყალში ავდება სიცოცხლე მაშასადამე, „ადამიანს საკვების დიდი ნაწილიც აკლდება.

ტყის უთავბოლო ჩეხვა, მდელოს მოუვლელობა ბუნების ქარმონიის ღარღვევას იწვევს. შრება წყაროები, იკარგება ნიადაგის ფენი (ბუნებაში 100 წელიწადში მხოლოდ ერთი სანტიმეტრის სისქე ნიადაგი წარმოიმობა), ხროკდება ფერდონი, მძლავრობენ ღვარცოფები, ჰაერს აკლდება ჟანგბადი, ძლიერდება ხორშაკი ქარების ქროლვა. ეარუნდება ჰავა. ჩვენში სატყეო სამინისტრო თუა საჭირო, ის საჭიროა დარჩენილი ტყის მოსავლელად, შესანარჩუნებლად და ტყის აღსადგენად. ტყის აღდგენა და გაშენება საგრძნობლად ჩამორჩება იმ კლებას, რომელსაც ამჟამად ჩვენს ტყეში ვხედავთ ნახევარ მილიონ ჰექტარზე მეტია ხანეი ფერდი, რომელზეც ტყე უნდა აღდგეს. ორას ათასჯერ ჰექტარი მდინარის რიყე და ჭალა, სადაც ამ ეოტაციები ხნის წინათ მშვენიერი ტყეები იყო, კვლავ ტყით უნდა დაიფაროს: თუ ეს არ მოხდა, უახლოეს წლებში გაჭრება ჩვენში ის სიხარული და სიყვარული, რომელზეც ეერილის დასაწყისში ვლაპარაკობდი.

არ დამავიწყდება ორი ახალგაზრდის დიალოგი, სამშვიდოდეს ნაქალაქარის დაოვალიერების დროს რომ მოვისმინე:

— რომ მიმდგარხარ და ამ მშვენიერ აკაკის ხეს სჭრი, რადა სჭრი? მაგის მორს ან ტოტს გააკეთებინებ იმას, რასაც იგ აკეთებს?

მეორემ გაგვირვებულმა შეხედა.

— ხომ ხედავ, მაგის ფესვებს რამდენიმე ლოდი უჭირავს! მოჭრი ხეს, გახმება ფესვი, მოწყდება ლოდი და ჩაინგრევა ნაპირი, მერე იცი, მაგ ხეში რომ მათი სისხლიც ჯრის, ვინც აქ, სამშვილდეში, ქვეყნის გადასარჩენად იბრძოდა? გიკვირს, არა? გასაკვირველი არაფერია, სისხლი ხომ მიწამ შეიეონა, მეენარის ფესვმა კი სხვა ნივთიერებასთან ერთად აქ დაღვრილი სისხლიც შეითვისა. ხეს ფოთოლი შემოდგომით ცვივა, სხვა ნივთიერებასთან ერთად მეენარის მიერ შეთვისებული სისხლის ნაწილი კვლავ მიწას უბრუნდება, ასე გრძელდება წლითიწლითი.

ამ „ხეციოსნის წყარო“ ერთი ამბავიც მომაგონა, სახელდობრ, კაკლის ბეღი საქართველოში. იგიც ხშირად მსხვერპლი ხდებოდა ჩვენი ავბედობისა. მტერი ვაზთან ერთად კაკალსაც ჩეხდა და ძირკვავდა. რომ შეეცუსტებინა ჩვენი ეკონომიკა. მართლაც, ნიგოზი ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის ერთ-ერთი წყაროა. დასავლეთ საქართველოში ერმოს არ ხმარობდნენ. მთავარი ცხიმი ნიგოზი იყო (იგი ხომ 40-70 პროცენტ ცხიმს შეიცავს). ამაზეც გააძღენინა ხალხს იმ ჭაობიან მხარეში. არანაკლებ ხმარობდნენ ნიგოზს აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით მარხვის დროს (მარხვა კი, ქრისტიანული წესით, 140 დღეზე მეტ ხანს გრძელდებოდა). წარმოუდგენელი იყო ოჯახი, რომელიმე ძირი თუ არა, ერთი ძირი კაკალი მაინც არ სდგომოდა.

ჩვენი უვიცობისა თუ გულგრილობის გამო, დღესაც კარვი დღე არ ადგია კაკალს — უდვთოდ ნადგურდება. საკარმიდამო ნაკვეთში აღარ სტუვებენ — ბოსტანს ვაჩრდილავსო, დიდ ზვრებში კი მექანიზაციის უშლის ხელსაო. გზას კიოსავენენ — კაკალს ბლეკუნ: ეს კი ბოროტება და ქვეყნის ღალატია.

კაკალი ორასი წლის განმავლობაში მსწმოიარობს და ძვირფას პროდუქტს იძლევა — მრავალნაირი ვიტამინით მდიდარს. მისი მოჭრა ზემდგომი ორგანოების ნებართვის გარეშე არ შეიძლება, ამაზე არსებობს დადგენილება და ის განუხრელად უნდა შესრულდეს: მე მიზანშეწონილად ნიმაჩნია, რომ ეს ხე ეროვნულ ნეიდ გამოცხადდეს. ყველა მოქალაქემ, განსაკუთრებით სოფლად, ხუთი კაკალი ნაინე უნდა გაახაროს. დიახ, გაახაროს და არა მარტო დარგოს. დარგვის დღიდან ათი წელი მაინც უნდა მოუაროს. ეს საჭიროა ალხის ეთილდღეობისათვის.

ახლა ხეების დარგვას ვიშკებთ. ეს კარგია. უნდა დავრგოთ. მაგრამ საჭიროა თვალი იმსაც გადავავლოთ, თუ შარშანდელმა დარგულმა რამდენმა ისე, როგორ ახარა. წყლს კი პირობა დავდოთ, რომ რასაც დავრგავთ, ვახარებთ კიდეც და მას 3-5 წელს მაინც მოვუვლით.

წყლს დარგული არც ერთი არ უნდა გაბუნ. ეს ხუთწლედი ხომ ხარისხის ხუთწლედია!

ყველაფერი, რაც ჩვენს არგალიე არის, ძვირფასია არა მარტო იმიტომ, რომ ლამაზია, არამედ იმიტომ, რომ მასზეა დამოკიდებული ადამიანების, მთელი კაცობრიობის ბედი.

ნუ გავაკეთებთ ისეთ საქმეს, რომ ჩვენს ქვეყანას წეროებმა გვერდი აუარონ.

ნიკო კეცხოველი.

ᲒᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲭᲚᲔᲜᲢᲘ — ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურისმცოდნეობის სამეცნიერო საბჭომ **გესარიონ ჯღენტი** — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ეს დადგენილება.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ᲮᲛᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲬᲔᲠᲝᲔᲑᲘ ᲛᲝᲤᲠᲘᲜᲓᲜᲔᲜ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲘᲡᲢᲘ ᲔᲚᲔᲠᲘᲡ

საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის რუსუდან გვასალიას კონცერტის გამო

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲝᲪᲔᲠᲝ ᲡᲐᲮᲔ

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲘ

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

გუშინ მოსკოვში, „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ბატჩი დედაქალაქის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

დღეს, შეგახსენებთ, გაიმართება მესამე ტურის კიდევ სამი შეხვედრა, მათ შორის — ლენინგრადის „ზენიტსა“ და თბილისის „დინამოს“ ორთაბრძოლა. ამ **ბატჩის მეორე ტაიმის რეპორტაჟი საქართველოს რადიოთი დაიწყება 19 საათზე (თბილისის დროით).**



ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘ

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲚᲘᲔᲠᲐᲛᲓᲔ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ კინომსახიობისა და კინორეჟისორის როდიონ ნახაპეტოვის ახალი ფილმი „ქვეყნის დასალიერამდე“ დღევანდელ ახალგაზრდობას ეძღვნება. ფილმი ოპერატორებმა ვ. კლიმოვმა და კ. სუპონიცკიმ გადაიღეს.

მთავარ როლებს ასრულებენ ვ. მიხეენკო, ვ. გლაგოლევა, პ. გლებოვი, ბ. ანდრეევი (კინოსტუდია „მოსფილმი“).

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲣᲪᲮᲝ ᲙᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ სატელევიზიო ფილმების სერიამ, სახელწოდებით „პოლიციაში დარეკეთ-110“ დიდი პოპულარობა მოიპოვა ჩვენშიაც (ამ სერიის ფილმებს — „შავი წინდა, „სახლი რკინიგზასთან“ და „ჩვენებას ფოტოგრაფი იძლევა“ — წარმატება ჰქონდა ჩვენს ეკრანებზე).

გამოცდილი ლეიტენანტი ლუბნერი და ლეიტენანტი ვერა არნდტი (სერიის უცვლელი გმირები) ამჯერად გაქნილ არამზადას ჩასდგომიან კვალში..

სურათი რეჟისორმა ვერნერ როვეკამმა გადაიღო. მთავარ როლებში აჩიან იურგენ ფრორიპი და ზიგრიდ გოლერი. (გდრ).



ᲒᲝᲠᲝᲢᲝᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲨᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ პარტიის წარმომადგენელი, პარლამენტის დეპუტატი ანდაკი სულ უფრო და უფრო ილვწია პირადი ბედნიერებისათვის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პარტიის მიერ ორგანიზებული პოლიტიკური დემონსტრაციისას მშვიდად პარტრებს დროს თავის ვილაში მოწყობილ საღამოზე. რეჟისორულმა მთავრობამ ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და... იანდაკი თავის მხარეზე გადაიბარა...

ფილმის რეჟისორია ა. კაბილკო, ოპერატორი — ი. შლაპეტა, მთავარ როლში — კ. შებეხტა. („ბარანდოვი“, ჩეხოსლოვაკია).

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შეგისწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — „საჭადრაკო სკოლა“, 12.10 — „ჯადოსნური ეკრანი“, 12.30 — „კინოფიშა“, 13.00 — „მუსიკალური კითხვა — „ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა. 13.55 — „კინოს მოყვარულთათვის“, 15.00 — მოსკოვის საბავშვო მუსიკალური თეატრის სპექტაკლი „ჯადოსნური მუსიკა“ — (პირველი მოქმედება), 16.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საუკუნე ყვავილებთან“, 16.30 — მოსკოვის საბავშვო მუსიკალური თეატრის სპექტაკლი — „ჯადოსნური მუსიკა“ (მეორე მოქმედება), 17.10 — „საერთაშორისო ბანორამა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.40 — „მსოფლიოს ციკი“ — ფერადი გამოსახულებით (მოსკოვიდან). 18.30 — მომმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება, 19.00 — ფიზბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„დინამო“ (კიევი) (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.45 — „მომმე“ — საინფორმაციო პროგრამა. 21.00 — „კინომგზაურთა კლუბი“, 22.00 — „ვრეშია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან); 22.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში; ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის უფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები (მესამე პერიოდი). (გადმოცემა პოლონეთიდან).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

18.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მინდვრის ყვავილი“, 18.30 — კონცერტი, 19.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა: „სვანეთი“, „ხევსურეთი“, „თუშეთის ფერები“, 20.20 — ქართული მხატვრული ფილმი „ვერის უბნის მეოლოდიები“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალ